


 ა(ა)იპ "თავისუფლება" NQO "Freedom"
 
 გილითის ფასი 10 ლარი 25.03.14 6 / 20.00 სთ
 ღონისძიების განმარტებული მხარდაჭერა ძ. თაბინის შპსი
 გილითის შპს-ის მხარდაჭერით სპონსორის სახელის საპროგრამო
 ერთად ვიბრძობთ ჩვენი ძველის გავაძლიერებთ საქველმოქმედო მართლმართლ სპორტის სასახლეში
 ჯანსაღი მოგზავლისთვის!
 საქველმოქმედო ზარი: 0901 700 515 ზარის ღირებულება 1 ლარი

მთავარი | შურნალისმთარი გამოძიება | კარმიდაპო ჩემი | 21-ს ქვევით | G-NEWS TV | სანიმერესო აბებბი

საზომადომება

მთავარი თემა

ფარავანი ჰესის პროექტში "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა" დარღვევები დაადასტურა

ფარავანი ჰესის პროექტში, ისევე, როგორც მკვედონისა და ხორვატიაში დაგეგმილ ჰიდროპროექტებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შიდა გამოძიებამ გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დარღვევები დაადასტურა.



ამის შესახებ "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა დავით ჭიკაშვილმა ჯერ კიდევ 28 ნოემბერს სასტუმრო "ვერე პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თუმცა ბანკმა დარღვევების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ახლა გამოაქვეყნა.

"იმას, რასაც მწვანე ალტერნატივა იმხბდა ამდენი ხანი, დადასტურდა ამ გამოძიებით. მაშინ როცა ენერჯეტიკის სამინისტრო იმხბდა, რომ თურმე ფარავანი, ისევე როგორც სხვა ჰესები საქართველოში შენდება საერთაშორისო სტანდარტებით, მაგალითად ზახვი, დარიალი, და ა.შ. არ წარმოადგენს სიმართლეს, რაც დადასტურდა ამ გამოძიებამ. ის რომ მდინარეში 10%-ის დატოვება არ არის საერთაშორისო სტანდარტი, ეს დადასტურდა ამ გამოძიებით და ახლა ვერავინ ვეღარ იტყვის, რომ საქართველოში დაგეგმილი თუ მიმდინარე დერივატიული ჰესები შესაბამისობაშია, ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სტანდარტებთან ან ევროკავშირის სტანდარტებთან, რომელიც უფრო მკაცრია", - აღნიშნა დავით ჭიკაშვილმა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელმა (CEE Bankwatch Network) და მისმა წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა: "ეკო-სვესტი" (მაკედონია),

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" (საქართველო) და "ხელენა აქცია(დედამიწის მეგობრები)" (ხორვატია) ბანკის გადაწყვეტილებაზე ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელსაც "გურია ნიუსი" უცვლელად გთავაზობთ.

"ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ერგბ) ისე გამოყო დაფინანსება ჰიდროელექტროსადგურების სამი პროექტის განსახორციელებლად მაკედონიაში, ხორვატიაში და საქართველოში, რომ ამ პროექტების სრულფასოვანი შეფასება არ ჩატარებია - ნათქვამია ბანკის შიდა გამოძიების დასკვნაში. გამოძიება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც CEE Bankwatch Network-ის წევრმა ორგანიზაციებმა აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ოფიციალური საჩივრებით მიმართეს. არასამთავრობო ორგანიზაციები აფრთხილებენ ბანკს, რომ მის მიერ პროექტების არასრულფასოვანი შეფასება უკვე სამუხარო ტენდენციად იქცა, რაც ბანკისთვის ზედმეტი თავდაჯერებულობის მაჩვენებელია. ბანკი რატომღაც თვლის, რომ გარემოსდაცვითი მიყენებული ნებისმიერი ზიანი "შარტავაა". რა თქმა უნდა, მსგავსი მიდგომა, ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით, ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე იმის აღიარება, რომ ზოგიერთი პროექტის განხორციელება, უბრალოდ, არ შეიძლება.

ერგბ-ს პროექტებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის ორგანომ (Projects Complaints Mechanism, PCM) (ერგბ-ს ორგანო, რომელიც შექმნილია ბანკის გადაწყვეტილებების განკისხევ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან შესაბამისობის დასადგენად) ბანკის მიერ სამი ჰიდროელექტროსადგურის პროექტის დაფინანსების თაობაზე სამი სხვადასხვა ანგარიში გამოაქვეყნა. ეს ჰიდროელექტროსადგურებია: ბოშკოვ მოსტი (Boskov Most) მაკედონიაში (1), ომბლა (Ombia) ხორვატიაში (2) და ფარავნის ჰიდროელექტროსადგური საქართველოში. სამეცემ შემთხვევაში დადგინდა, რომ ბანკმა დაარღვია საკუთარი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა. არასწორად შეაფასა რა პროექტების ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, ამ პროექტების მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამდე. ამას გარდა, ბანკმა ვერ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სათანადო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

„ბანკის ეს შიდა ანგარიშები ადასტურებს იმას, რაც ჩვენ თავიდანვე ვიცოდით: „თუ ბანკს სურს ამა თუ იმ პროექტის დაფინანსება, ზოგ შემთხვევაში, ის უგულვებელყოფს კიდევ პროექტებში არსებულ სერიოზულ გარემოსდაცვით რისკებს“, - აცხადებს CEE Bankwatch Network-ის მაკედონიელი კოორდინატორი ანა ჩოლოვიჩი.

"შუ ვიქნებით მიაბიტები", - აგრძელებს ჩოლოვიჩი. "ეს ბანკის მიერ დამზებული უნებლიე შეცდომები არ არის პირიქით, პროექტების დამტკიცება მათი განმარტებული დავისგან განსხვავებული საფუძველზე და იმის დამტკიცება, რომ გარემოზე მოგვიანებით, ელექტროსადგურების შენელობის პროცესში იზრუნებენ, ერგბ-ს შეგნებული არჩევანია. ის, რასაც საბოლოოდ ვიღებთ, მხოლოდ კომპეტუური სამუშაოებია, იმ დროს, როდესაც გარემოს სერიოზული ზიანი ადგება".

"ომბლას და ბოშკოვ მოსტის შემთხვევებში, ერგბ-მ პროექტები უხარისხო გარემოსდაცვითი შეფასებების საფუძველზე ისე დაამტკიცა, რომ დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული ფაუნის შესახებაც კი არ ჰქონდა დეტალური ინფორმაცია", - აცხადებს "ხელენა აქცის" წარმომადგენელი, იაგოდა მიუნჩიჩი.

"პროექტების დასაწყებად ამგვარი სიჩქარე კატეგორიულად მიუღებელია. ჯერ პროექტების დამტკიცების და ამის შემდეგ დამატებითი კვლევების განხორციელების არსებული პრაქტიკა უბრალოდ არ მუშაობს. ეს ასევე



8 საკითხი _ წულუკიანის უწყებას არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მკორიტარი დეპუტატების კანდიდატები



ადღებდა თუ არა სამართლიანობა მიხეილ სააკაშვილის დაჭერით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."

პოლიტიკა



"ჯავახი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვს



ზაზა ხატიაშვილი მსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძველს მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი

საზომადომება



"დევნართ პატიმრებს, ნუ მივატოვებთ გასაქირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჭონდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფორტ _ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში

ფინანსები



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?

ზღუდავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვის უფლებას მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია პროცესზე ზემოქმედება".

ერგბ-ი თავისი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ახალ პროექტს, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლოს გამოაქვეყნებს. CEE Bankwatch Network-ი და მისი წევრი ორგანიზაციები მოუწოდებენ ერგბ-ს, ახალ პოლიტიკაში გაამკაცროს პროექტის შეფასებისა და საზოგადოების მონაწილეობის სტანდარტები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უზრუნველყოს, რომ ქალაქზე გაცხადებული ბანკის პოლიტიკა რეალურ პრაქტიკად იქცეს.

უახლოესი ტესტი იმის შესამოწმებლად, გაუმჯობესა თუ არა ბანკმა თავისი პრაქტიკა საჩივრების განხილვის ორგანოს გაფრთხილებების შედეგად, არის ახალი ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საქართველოში, მიმდინარე აჭარისწყალზე. მიუხედავად გარემოსდაცვითი რისკებისა, ბანკი მაინც იხილავს ამ პროექტის დაფინანსების შესაძლებლობის საკითხს,

"როგორც მოსალოდნელი იყო, ბანკის იმ დეპარტამენტებს, რომლებიც პოლიტიკის შეუსრულებლობაში დადანაშაუდნენ, საჩივრების განხილვის ორგანოს დასკვნების მიღება გაუჭირდათ", - აცხადებს ფიდანკა ბაჩევა-მაკრეთი.

"არაა გასაკვირი, რომ ერგბ-ს ექვს თვეზე მეტი დასჭირდა დოკუმენტების გასაჯაროებისთვის! ახლა მხოლოდ ისრა დაგვრჩენია, დაველოდოთ, რა ზეგავლენას იქონიებს ეს დასკვნები ახალ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასა და ბანკის საჩივრების განხილვის ორგანოს სამოქმედო წესებზე; უნდა ველოდოთ უკეთეს პოლიტიკას, თუ პირიქით, ამჟამად მოქმედი პოლიტიკის და უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრებისათვის აღებული ვალდებულებების შესუსტებას?", - ნათქვამია განცხადებაში.

Tweet 0

+1 0

Like Share 1



არქივი

სტამბისტიკურ-ანალიტიკური კვლევა "ავტორიტარი 2012"

2013-10-10 13:11:26

"თუ ჩვენ ვერ ვაკეთებთ საქმეს, თქვენ განაკეთეთ საქმესადა"

2013-03-29 00:18:54



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ-ანალიტიკური კვლევა საქართველოში...



27 მარტის საღამოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა გადაცემა "დილოგი დავით პაიჭაძესთან"...

საბნარმა უსახლკაროდ დატოვა

2011-02-13 15:52:01

ურა ნანუაშვილი დაფინანსების სიმწირის შრივის

2013-12-12 18:14:08



სახალხო დამცველი დაფინანსების სიმწირეს უჩივის. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს ოფისის დაფინანსება...

სამხრეთი



შსს-მ თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა



"საქართველოს მოსამართლეთა ერთობა" კოტე კუბლაშვილს

მასალების გამოყენებისას აუცილებელია რედაქციის ნებართვა

42 User Online 2562849 6330 TDP.GE 2852